საიდ. №73340/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №107-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ლ. კერესელიძე, გ. დუდუჩავას მდივნობით, განიხილა კომპანიის ,,ვალტრა ოი აბ" (მის.: ვალმეტინკატუ 2, FI-44200 სუოლაჰტი) (Valtra Oy Ab, Valmetinkatu 2, FI-44200 Suolahti) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №107-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №412/03 ბრძანების ბათილად ცნობა, და სასაქონლო ნიშნის ,,VALTRA" (საიდ. №73340/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 და მე-12 კლასები).

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის №412/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ,,VALTRA" (საიდ. №73340/03) დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან, იგი მსგავსია კომპანიის ,,Hankook Tire Worldwide Co., Ltd." (მის.: №647-15 Yoksam-dong, Kangnam-gu, Seoul; KR) სახელზე მე-12 კლასის მსგავსი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა ,,VANTRA" (IR №1076377, თარითი: 26-01- 2011-) და კომპანიის ,,იუჩილიზ ოთომოტიკ ავ სილაჰლარი ვე ინშაათსანაი ლიმიტედ შირქეთი" (ÜÇYILDIZ OTOMOTİV AV SİLAHLARI VE İNŞAAT SANAYİ LİMİTED ŞİRKETİ) სახელზე მე-7 კლასის მსგავსი და იდენტრუი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოში დაცული სასაქონლო ნიშნისა ,,VOLTRAN"+ გამოსახულება (IR №822636, თარიღი: 18-03-2004). სარეგსტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ინგლისურ ენაზე და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ,,სასაქონლო ნიშნების" შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანს ,,VALTRA" უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

აპელანტი კომპანიის ,,ვალტრა ოი აბ"-ი (Valtra Oy Ab) წარმომადგენელი, გიორგი თაქთაქიშვილი, არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან გრაფიკულად (ვიზუალურად). მიუხედავად იმისა, რომ როგორც განცხადებული, ასევე, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით, განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნების ,,VALTRA" და ,,VANTRA" შუა ასოები - თუ განცხადებულ ნიშანში იგი წარმოადგენს „L" ასოს,

დაპირისპირებულ ნიშანში ის არის ასო „N“, რაც ვიზუალურად აღიქმება განსხვავებულად. უფრო მკვეთრია ვიზუალური განსხვავება დაპირისპირებულ ნიშნებს ,,VALTRA“ და ,,VOLTRAN“ შორის, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშანი 7-ასოიანია, მაშინ, როცა განცხადებული ნიშანი, შედგება 6 ასოსაგან და აღიქმება უფრო მოკლე აღნიშვნად. გარდა ამისა, განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნების მეორე ასოები - თუ განცხადებულ ნიშანში იგი წარმოადგენს ასოს „A“, დაპირისპირებულ ნიშანში ის არის ასო „O“. ამასთანავე, განცხადებული ნიშნის ბოლო მე-6 ასოა „A“, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის ბოლო მე-7 ასოა „N“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი და გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტი აღნიშნავს, რომ ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „ვალტრა“, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშნები გამოითქმის, როგორს „ვანტრა“, „ვოლტრან“, შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ჟღერადობა განსხვავებულია, რაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

აპელანტის განმარტებით, განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს არ გააჩნიათ სემანტიკური დატვირთვა და თუ მხედველობაში იქნება მიღებული ნიშნების ზემოთ მოყვანილი გრაფიკული და ფონეტიკური ანალიზი, შესაძლებელია დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი და შესაბამისად, არ არსებობს მომხმარებლის მიერ მათი აღრევის შესაძლებლობა.

აპელანტი აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია დაპირისპირებული ნიშნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული

ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი, არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, საქპატენტის ექსპერტიზის ერთადერთ არგუმენტს, საქონლის მსგავსებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია მე-7 და მე-12 კლასების საქონლისათვის. თუმცა, საქპატენტის ექსპერტიზა არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოხატება დაპირისპირებული ნიშნების საქონლის მსგავსება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-7 და მე-12 კლასებში შემავალი საქონლისათვის, არ არის საკმარისი საქონლის მსგავსების დასადგენად. საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნიცის კლასიფიკაცია არ წარმოადგენს საქონლის მსგავსების დადგენის ინსტრუმენტს, არამედ მისი მიზანი მხოლოდ საქონლის კლასიფიკაციაა. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნიცის კლასიფიკატორის ერთსა და იმავე კლასში საქონლის არსებობა, არ შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მსგავსების დადგენის არგუმენტი. შესაბამისად, საქონლის მსგავსების დადგენა ექსპერტიზის მიერ უნდა მოხდეს საქონლის სახის, ხასიათის გათვალისწინებით და არა ფორმალურად რომელიმე კლასისათვის მიკუთვნებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტს მიაჩნია, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი განსხვავებულია. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის ,,VALTRA“ მფლობელი კომპანია ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს მე-7 კლასის შემდეგი საქონლისათვის: ,,7- სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობაში, სამოქალაქო მშენებლობასა და კონსტრუირებაში გამოსაყენებელი მანქანები, დანადგარები და ხელსაწყოები; ნაწილები და ფიტინგები ყველა ზემოჩამოთვლილი საქონლისათვის“, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის ,,VOLTRAN“ მფლობელ კომპანიას სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული აქვს შემდეგი საქონლისათვის: ,,7 - მანქანები და ჩარხები; მოტორები და ძრავები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებლის გარდა); შეერთებები და

გადაცემის ელემენტები (მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებლის გარდა); სასოფლო-სამეურნეო იარაღი, განსხვავებული ხელის იარაღისაგან; ინკუბატორები; კარბიურატორები; კარბიურატორის მკვებავები; აირის შესაკუმში, შემწოვი და გადამტანი ჰაერსაბერი მანქანები; საწვავის გარდამქმნელები შიგაწვის ძრავასათვის; სათბობის ეკონომაიზერები ძრავასათვის; თხევადი ნავთობის აირად გარდაქმნის აღჭურვილობა; შეკუმშული ბუნებრივი აირის გარდაქმნის აღჭურვილობა და ამ აღჭურვილობის ნაწილები, შეტანილი ამ კლასში; ტუმბოები (მანქანების, ძრავებისა და მოტორების ნაწილები)“. (Machines and machine tools; motors and engines (except for land vehicles); machine coupling and transmission components (except for land vehicles); agricultural implements other than hand-operated; incubators for eggs; carburetters, carburettor feeders; blowing machines for the compression, exhaustion and transport of gases; fuel conversion apparatus for internal combustion engines; fuel economisers for motors and engines; LPG (liquified petroleum gas) transformation equipment, CNG (compressed natural gas) transformation equipment and parts of these equipments including this class; pumps (parts of machines, engines or motors). აპელანტის განმარტებით, როგორც საქონლის ჩამონათვალებიდან ჩანს, განცხადებული ნიშნით მონიშნული საქონელი, წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების მანქანებს, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშნით მონიშნული საქონელი, წარმოადგენს კლასის ზოგად დასათაურებას, რომელსაც მოსდევს დაკონკრეტებული საქონლის ჩამონათვალი, კერძოდ, კარბიურატორები; კარბიურატორის მკვებავები; აირის შესაკუმში, შემწოვი და გადამტანი ჰაერსაბერი მანქანები; საწვავის გარდამქმნელები შიგაწვის ძრავასათვის; სათბობის ეკონომაიზერები ძრავასათვის; თხევადი ნავთობის აირად გარდაქმნის აღჭურვილობა; შეკუმშული ბუნებრივი აირის გარდაქმნის აღჭურვილობა და ამ აღჭურვილობის ნაწილები, შეტანილი ამ კლასში; ტუმბოები (მანქანების, ძრავებისა და მოტორების ნაწილები), რომელიც არსებითად განსხვავდება განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვლისაგან.

სასაქონლო ნიშანთან ,,VOLTRAN“ დაკავშირებით აპელანტი დამატებით განმარტავს, რომ საერთაშორისო რეგისტრაციის N822636 მოქმედების ვადა ამოიწურა 18.03.2014, რაც ადასტურებს, რომ აღარ არსებობს სასაქონლო ნიშანზე ,,VALTRA“ (საიდ. №73340/03) რეგისტრაციაზე მე-7 კლასის საქონლისათვის უარის თქმის საფუძველი.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის ,,VALTRA“ და დაპირისპირებული ნიშნის ,,VANTRA“ მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვლების შედარებისას იკვეთება შემდეგი სურათი: განცხადებული ნიშანი მოიცავს შემდეგ საქონელს: ,,12 - სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობაში, სამოქალაქო მშენებლობასა და კონსტრუირებაში გამოსაყენებელი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები, ტრაქტორები; ნაწილები და ფიტინგები ყველა ზემოჩამოთვლილი საქონლისათვის, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი დაცულია შემდეგი საქონლისათვის: პნევმატიკური საბურავები; პნევმატიკური სალტეები სატრანსპორტო საშუალებების თვლებისათვის; სალტეების სატრანსპორტო საშუალებების თვლებისათვის; სატრანსპორტო საშუალებების ბორბლის კამერები; სატრანსპორტო საშუალებების სალტის კამერები; ავტომობილის სალტეები“. (Pneumatic tires; casings for pneumatic tires; tires, solid, for vehicle wheels; tires for vehicle wheels; inner tubes for vehicle wheels; inner tubes for vehicle tires; automobile tires), რაც სრულიად აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია, ძირითადად, აწარმოებს საბურავებსა და საბურავების ნაწილებს, მაშინ როდესაც განცხადებული ნიშნის მფლობელი კომპანია, დაკავებულია სხვადასხვა სახის სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების წარმოებით.

აპელანტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალი მიეკუთვნება ერთსა და იმავე კლასებს, ნათელია, რომ მათი რეგისტრაცია მოითხოვება ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული საქონლისათვის. თანამედროვე პრაქტიკა, თუნდაც მსგავსი დაპირისპირებული ნიშნების შემთხვევაში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განსხვავებას

დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვლებს შორის. ამასვე ადასტურებს საქპატენტის სააპელაციო კოლეგიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება N76-03/12 ანალოგიური შემთხვევისათვის, როდესაც საქონლის ჩამონათვლის გაყოფის შედეგად, ზემოთ მოყვანილ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს ,,VANTRA“ (IR 1076377) მიენიჭა დაცვა საქონლისათვის - ,,პნევმატიკური საბურავები; პნევმატიკური სალტეები სატრანსპორტო საშუალებების თვლებისათვის; სალტეების სატრანსპორტო საშუალებების თვლებისათვის; სატრანსპორტო საშუალებების საბურავის კამერები; სატრანსპორტო საშუალებების სალტის კამერები; ავტომობილის სალტეები“, ვინაიდან მასთან დაპირისპირებული ნიშნით ,,LANTRA“ ნიშანდებული საქონელი იყო სრულიად განსხვავებული, კერძოდ, ,,ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები ხმელეთზე გადაადგილებისათვის, ლოკომოტივები, ველოსიპედები, ამ საქონლის ნაწილები და ფიტინგები, რომლებიც შეტანილია მე-12 კლასში“.

საქონლის ჩამონათვლის გაყოფის თვალსაზრისით, ანალოგიური გადაწყვეტილებებია გამოტანილი სასაქონლო ნიშნებთან ,,soliani“ - ,,joliani“ და ,,ROTT“ – ,,ROTH“ დაკავშირებით.

ზემოთქმულთან დამატებით, აპელანტი აცხადებს, რომ იგი თანახმაა შეზღუდოს მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: ,,12 - სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობაში, სამოქალაქო მშენებლობასა და კონსტრუირებაში გამოსაყენებელი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები, ტრაქტორები; ნაწილები და ფიტინგები, ყველა ზემოჩამოთვლილი საქონლისათვის, გარდა ავტომობილის სალტეების, სატრანსპორტო საშუალებების ბორბლის კამერების, სალტეებისა სატრანსპორტო საშუალებების თვლებისათვის, სატრანსპორტო საშუალებების სალტეს კამერების, პნევმატიკური საბურავების, პნევმატიკური სალტეებისა სატრანსპორტო საშუალებების თვლებისათვის, სატრანსპორტო საშუალებების საბურავებისა;“, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შემდეგნაირად: ,,12 - სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობაში, სამოქალაქო მშენებლობასა და კონსტრუირებაში

გამოსაყენებელი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები, ტრაქტორები“. ასეთი შეზღუდვა უფრო მეტად წარმოაჩენს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი სრულიად განსხვავებულია და მიეკუთვნება წარმოების სხვადასხვა სფეროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №412/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის ,,VALTRA” (№73340/03) რეგისტრაციას საქონლის და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 და მე-12 კლასები).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (**№107-03/14**) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს, რადგან ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური მსგავსება. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან ორივე ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ასოთი, კერძოდ განცხადებული ნიშანი დაპირისპირებული ნიშნისაგან გასხვავებით შეიცავს „L” ასოს, რომელიც ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. იდენტურია ნიშნების საწყისი და ბოლო ნაწილები, რაც ასევე, ზრდის ნიშნებს შორის მსგავსებას.

გარდა ამისა, განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ვალტრა“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგოც „ვანტრა“.

მსგავსია, ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალიც, კერძოდ, ორივე სასაქონლო ნიშნის მე-12 კლასის საქონელი უკავშირდება სატრანპორტო საშუალებებსა და მის ნაწილებს. კოლეგია მხედველობაში ვერ მიიღებს, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში შემოთავაზებულ მე-12 კლასის საქონლის შეზღუდულ ჩამონათვალს, ვინაიდან მიაჩნია, რომ საქონლის წარმოდგენილი სახით შეზღუდვის პირობებშიც ადგილი აქვს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს, კერძოდ, დაპირისპირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალის ერთ-ერთი საქონლის სახეობა „electric vehicles“, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც „ელექტრო სატრანსპორტო საშუალება“. აღნიშნული მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის „Valtra“-ს საქონლის ჩამონათვალს: „სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობაში, სამოქალაქო მშენებლობასა და კონსტრუირებაში გამოსაყენებელი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები, ტრაქტორები;“

ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, უნდა დარეგისტრირდეს მე-7 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვლის მიმართ, ვინაიდან მე-7 კლასის საქონლის ნაწილში დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმებულია.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ვალტრა ოი აბ“ (Valtra Oy Ab) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 აპრილის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №412/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს ,,VALTRA” (საიდ. №73340/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მე-7 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. სასაქონლო ნიშანი ,,VALTRA” (საიდ. №73340/03) დარეგისტრირდეს მე-7 კლასის განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ლ. კერესელიძე